

შპს „TV LUX GEORGIA”

ს/კ 404431021

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს „TV LUX GEORGIA“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულობები	15
4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
5. ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

შპს TV LUX GEORGIA ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		პენიშენა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1		211,175	173,688
არამატერიალური აქტივები	2		1,026	1,268
სულ გრძელვადიანი აქტივები			212,201	174,956
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	3		280,443	310,388
გაცემული სესხები	4		191,245	164,956
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5		406,114	500,362
ფული და ფულის ეკვივალენტები	6		426	1,450
სულ მიმდინარე აქტივები			878,228	977,156
სულ აქტივები			1,090,429	1,152,112
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი				
დაგროვილი მოგება			722,260	935,723
სულ საკუთარი კაპიტალი			722,260	935,723
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
ანარიცხები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	7		121,571	73,524
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8		246,598	142,865
საგადასახადო ვალდებულებები			-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			368,169	216,389
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			1,090,429	1,152,112

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA		შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1		211,175	173,688
არამატერიალური აქტივები	2		1,026	1,268
სულ გრძელვადიანი აქტივები			212,201	174,956
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	3		280,443	310,388
გაცემული სესხები	4		191,245	164,956
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	5		406,114	500,362
ფული და ფულის ეკვივალენტები	6		426	1,450
სულ მიმდინარე აქტივები			878,228	977,156
სულ აქტივები			1,090,429	1,152,112
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი				
დაგროვილი მოგება			722,260	935,723
სულ საკუთარი კაპიტალი			722,260	935,723
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
ანარიცხები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	7		121,571	73,524
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	8		246,598	142,865
საგადასახადო ვალდებულებები			-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			368,169	216,389
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			1,090,429	1,152,112

*(ერთეული ლარი)

დირექტორი გიორგი მასისურაძე

მთ.ბუღალტერი ინგა ჯანიაშვილი



შპს TV LUX GEORGIA სრული შემოსავლის ანგარიშგება	პენიშენა	2024	2023
ამონაგები	9	1,632,641	738,562
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(910,681)	(452,928)
საერთო მოგება		721,960	285,634
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(920,444)	(776,253)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(15,759)	(4,953)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(214,243)	(495,572)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		682	42,629
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(18,259)	(215)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		2,349	6,348
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	-
ფინანსური ხარჯი		(963)	
ფინანსური შემოსავალი		16,971	14,813
მოგება დაბეგვრამდე		(213,463)	(431,997)
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება/ზარალი		(213,463)	(431,997)
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სული შემოსავალი		(213,463)	(431,997)

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA სრული შემოსავლის ანგარიშგება		შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	9		1,632,641	738,562
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			(910,681)	(452,928)
საერთო მოგება			721,960	285,634
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10		(920,444)	(776,253)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები			(15,759)	(4,953)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება			(214,243)	(495,572)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			682	42,629
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			(18,259)	(215)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო			2,349	6,348
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)			-	-
ფინანსური ხარჯი			(963)	
ფინანსური შემოსავალი			16,971	14,813
მოგება დაბეგვრამდე			(213,463)	(431,997)
მოგების გადასახადის ხარჯი				
წმინდა მოგება/ზარალი			(213,463)	(431,997)

*(ერთეული ლარი)

დირექტორი

გიორგი მასისურაძე

მთ.ბუღალტერი

ინგა ჯანიაშვილი



შპს TV LUX GEORGIA საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	-	-	1,367,720	1,367,720
წლის წმინდა მოგება			(431,997)	(431,997)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	935,723	935,723
წლის წმინდა მოგება			(213,463)	(213,463)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	-	722,260	722,260

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	-	-	1,367,720	1,367,720
წლის წმინდა მოგება			(431,997)	(431,997)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	935,723	935,723
წლის წმინდა მოგება			(213,463)	(213,463)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	-	722,260	722,260

*(ერთეული ლარი)

დირექტორი გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი ინგა ჯანაიშვილი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „TV LUX GEORGIA“ (ს/კ 404431021) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ტელესაკომუნიკაციო საქმიანობა, კერძოდ ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურის მონტაჟი და მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 30 ოქტომბერს. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 31 ოქტომბერს. კომპანიას ჰყავს ორი დამფუძნებელი. ოლექსანდრ შოსტაკოვსკი (უკრაინის მოქალაქე პ/ნ 3087218370) 50% და გიორგი მაისურაძე (საქართველოს მოქალაქე პ/ნ 01024039681) 50%, ეს უკანასკნელი აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ., N57, ბ. N56

ფაქტური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გივი კარტოზიას 8, კორპ 7, ოფისი 3

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მეშვიდე ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და მიიღო დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024, 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი განვლის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღიარდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20-30 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალდებულო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, სანარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენომატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში. კომპანიას არ გააჩნია სალარო. ფული და ფულის ექვივალენტები სანცისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.10 მარაგები

მარაგების სანცისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწმების თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწმება ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო

ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შენონილი შეფასების მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე აღრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების განება

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და აღარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შემზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადანყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადანყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადანყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს

მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შენიშვნა 1 (ძირითადი საშუალებები)

ძირითადი საშუალებები 2024, 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტო- სხვა ინვენტარი	ავტო- ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	198,510	79,348	20,753	-	298,611
შემოსვლა		-	-	64,911	64,911
გასვლა		-		-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	198,510	79,348	20,753	64,911	363,522
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	69,478	39,869	15,576	-	124,923
ცვეთა	9,926	11,849	2,027	3,622	27,424
გასულების დაგროვილი ცვეთა		-		-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	79,404	51,718	17,603	-	152,347
წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	129,032	39,479	5,177	-	173,688
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024	119,106	27,630	3,150	61,289	211,175

შენიშვნა 2 (არამატერიალური აქტივები)

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2023	2,422	2,422
შემოსვლა	0	0
გასვლა		0
დასაშვები ღირებულება 31.12.2024	2,422	2,422
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	1,154	1,154
ცვეთა	242	242
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	1,396	1,396
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	1,268	1,268
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024	1,026	1,026

შენიშვნა 3 (მარაგები)

მარაგები	2024	2023
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	132,130	146,660
არამატერიალური ფასეულობა (ლიცენზიები)	148,313	163,728
სულ	280,443	310,388

შენიშვნა 4 (გაცემული სესხები)

გაცემული სესხები	2024	2023
გაცემული სესხი	67,193	68,218

გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	70,800	60,800
მისაღები პროცენტი	31,454	26,035
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარიდან	21,798	9,903
სულ	191,245	164,956

შენიშვნა 5 (საგაჭრო და სხვა მოთხოვნები)

საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023
საგაჭრო მოთხოვნები - ნეტო	304,699	402,544
გადახდილი ავანსები	101,415	97,818
სულ	406,114	500,362

შენიშვნა 6 (ფული და ფულის ექვივალენტები)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	2024	2023
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	426	1,450
სულ	426	1,450

შენიშვნა 7 (მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან)

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	2024	2023
---	-------------	-------------

მიღებული ავანსები	121,571	73,524
სულ	121,571	73,524

შენიშვნა 8 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	240,823	123,322
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	5,444	6,720
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	331	12,823
სულ	246,598	142,865

შენიშვნა 9 (ამონაგები)

ამონაგები	2024	2023
რეალიზაცია	646,901	411,717
შემოსავალი მომსახურებიდან	985,740	326,845
სულ	1,632,641	738,562

შენიშვნა 10 (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
-----------------------------------	------	------

პროგრამის ანაზღაურება	653,683	625,567
საიტარო ქირა	30,517	28,773
დაზღვევის ხარჯები	25,601	25,890
ცვეთა და ამორტიზაცია	27,666	24,380
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	182,977	71,643
სულ	920,444	776,253

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის მდგომარეობით ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	5,444	6,720
სულ	5,444	6,720

	2024	2023
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	70,800	60,800
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარიდან	21,798	9,903
სულ	92,598	70,703

2024 წელს დაკავშირებული მხარისგან არ მომხდარა საქონლის და მომსახურების შეძენა. წინა წლის დავალიანება 1,500 ლარი დაფარულია. საკურსო სხვაობამ შეადგინა 224 ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 6,720 ლარს, შესაბამისად ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 5,444 ლარს.

2024 წელს ასევე მოდხა დაკავშირებული მხარისთვის 18,5% მოკლევადიანი სესხის გაცემა 22,700 ლარი და 12,700 ლარი დაბრუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ძირი შეადგენდა 60,800 ლარს, შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 70,800 ლარს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხული პროცენტის თანხაა 21,798 ლარი.

5. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

მოგახსენებთ, რომ კომპანიის ერთ-ერთი მიზნობრივი კატეგორია იყო სატელევიზიო ბიზნესი. წინა წლების განმავლობაში ჯერ კორონავირუსმა, შემდეგ კი რუსეთ-უკრაინის ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა აღნიშნული სფეროს საქმიანობას. ჩვენს კომპანიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უკრაინულ კომპანიებთან, კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი უკრაინის მოქალაქეა, ამიტომ ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შპს “TV LUX GEORGIA”-ს საქმიანობაზე.

აგრეთვე 2024 წელს არასტაბილურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ (მიტინგები, საპროტესტო აქციები) გავლენა იქონია უცხოეთიდან სტუმრების შემოდინებაზე და სასტუმრო ბიზნესის სფეროს განვითარებაზე.

თუმცა კომპანია შპს “TV LUX GEORGIA” ცდილობს გააფართოვოს ბიზნესსაქმიანობა და მოიცვას სხვა სფეროებიც. სასტუმრო ბიზნესში მიღებული გამოცდილება გამოიყენოს სხვა მიმართულებითაც

2024 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა უცხოური ვალუტის კურსის რყევები, შესაბამისად ესეც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად შეეცდება დაძლიოს ამ ხელშემშლელი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება. გადაერთვება სხვა ბიზნეს კატეგორიებზე და განავითარებს თავის საქმიანობას.

შპს “TV LUX GEORGIA” შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ფუნქციონირებადი კომპანია

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2025 წლის 26 სექტემბერს